

138  
1914

emuge



# ქართული გარემო



1914

სეპტემბერი, № 9, მთაწრდილთათვის.

# ବାହ୍ୟକଣ୍ଠଶରୀର

四月廿六日 80500. ✠ 一九一四年四月廿六日，1914年。




d ۹ 6 6 e.



# ს ა რ ჩ ე ბ ი ვ ი .

I—ბუნწი,—სურ.	1
II—განთიადი, — ლექტი დ. თურდოსპირელისა .	3
III—შემოღვეომის სალამოს, — ცეკვის	4
IV—საოცარი ვაშლი, — ხალხური ზღაპარი, (დასასრული) ნიკ. დარაშევიძისა.	14
V—მინიონი, — მათხერთა ფონ-როდენის, (გაგრძელება) თარგმ. ბ. დ.—ძის .	24
VI—ძეირფასი ნადირი, — (დასასრული) ნ. ნ.—ძის .	35
VII—რეგენი ძალი, — (იგავი) სანდრი შენშაშვილისა)	42
VIII—ილია ჭავჭავაძე, — ვახტანგ ჭავჭავაძემდისა .	43
IX—ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან, — წერილი შემოწევა და შესამე, — ი. როსტომიაშვილისა .	53
X—სამწუხრო ამბავი, — მათხერთა .	63
XI—წერილი რედაქციის მიმართ.	64



ტფილისი, ერუშ.-მბეჭდ. ვ. კერესელიძისა, გამიევას შესხვევა, № 1.

# გ ა ნ თ ი ა დ ი.

## მ ა ბ ე ლ ე კ ე ბ ი ს ი მ ა ბ ე ლ ე კ ე ბ ი ს



ეხდეთ შუქრო ვარსკვლავსა —  
რა მომხიბლავიად ციალებს,  
განიკადს უძლვის სალამსა,  
ალაშს რომ მოაფრიალებს.

ნიავი დაპერის მდელოსა,  
უფარცნის ხუმუკ ქოჩირისა;  
ხანაც ჰურდულად კოცნისა  
პოპეარის ვარდის კუკორისა.

ლამის შოეველი მულბული

ტებილ ხეგბით მომღერალია,  
აღტაცებული ხშა-ტებილობს,  
სატრეფის შეკნებით მოერალია.

მოხტა კიც კის კით მოხტის ნეკადი —

მარა მითების უბადლო შეიღონია; მარა ჯერ იმ მან  
აღმასიანი შეფევბით იუტისურტებ მარანის მარ  
წალკოტი მოფენილია.

შამირ, ქაში ზღაპრული:

ურველი მოლხენილია; ნერ ნერ  
არა მეტათერ ითერ სიამტებილია კეეუნისა;  
ურ ურნიშა ქაში სიამტებილია კეეუნისა;

ლამაზარ დზე აღბეჭდილია.

დ. თურდოსპირელი.

## .0 2 6 0 0 2 6 8

# შემოდგომის საღამოს.

X-- სოფელში წმინდა გიორგის ეკლესია თავისი დიდი გალავნით შეცენიერი სანახავია. პატარა, თეთრიად გალესილი შენობა ხშირ ხევის უცვლელი მოსახლეობის მისაჩინს. გალავანშიც, აღმოსავლეთით, კარგად მოზრდილი მდინარე ზურგა უკან ჩამოუდის, ისე რომ თუ მღვდელი და დიაკონი არ დუღუნებენ, მიწანარებულ და კარ-გამოკეტილ ეკლესიაში მუდამ ისეთი გრეგორი და ხმაურობა დგას, გევონებათ მთელი გუნდი უბილი სულთა განუწყვეტლივ დალადებს და მრავალ ხმით გაიღობს.

წყლის ნაპირზე დიდი ვერხვებია ჩამწერივებული. საყირა-ულო ჯარის კაცებივით სუორე აღმართულან, გარდა ერთისა, რომელიც გალავნის კედელთან ისე სასაცილოდ წამოკუზულა, თითქოს მუცელი დაძვრებებია და საცაა, ტკიცილით გამწარებული, კედელს დაეცრდნობა.

ვერხებისა და ვერხვებ შეა ჩარიცებული ვარდის ბუჩქები მაისში ალის ფრად ანთიან. ძირს-კი, ფოთოლთა შორის, დი-ლის მზისაგან შენათებული მდინარე უეცრიად გაიღლვებს და ისევ მიმაღება.

ეკლესიის მარჯვნივ დაბურული ხევიანია გამართული. ზეებ ქვეშ მარჯვნივ და მარცხნივ სკამებია ჩამომწერივებული. ეკლესიისა და ხევიან შორის პატარა აღვილი მკედრებს უჭი-რება. ზოგი საცლავის ქვა მიწის პირად არის ჩამოული—ისე, რომ ხალხი თავისუფლად ზედ დადის; ზოგიც სხვა-და-სხვა ჭრად შეღებილ რეინის მოაჯირებით შემოუფარგლავთ და ხე-ჭილებიც ჩაურგვით.

ეყლესის მარტხნივ გალავნის ნახევარი თავისუფლადან რაც დამოწერილი. იქ მუდამ ბალაზი მუხლამდინ დელავს. რჩევე  
წყლის პირას, ვერძვებ ჭვეშ, დიღი ოთხუთხიანი ლოდები  
აწყვია ჩამოსასხდომად.

ეს მხარე მეტად ლამაზია მთვარიან ღამეს, მეტადრე რო-  
ცა დავისშეგული მთვარე დიდ ურთიერთ მთის იქიდან ნელ-  
ნელა აშოცურდება და თეთრ ეყლესის ვერზვების კუნწერო-  
ბიდან თავისუფლად შეანათებს. — იქაურობის დანახვა იმ  
დროს ადამიანს სიცოცხლეს მოანიტრებს. იმ სოფლის ახალ-  
გაზღიულ ზაფხულობით თავს მუდამ საღმოობით იქ იყრის და  
თამაშობასა და მღერაში დროს ატარებს.

გალავანშივე გზის პირიდ რაზი ოთახია ღამის მთვარები-  
სთვის აშენებული. არ ვიცი — წინად რა იყო, მაგრამ ახლა-კი  
ეს ორი ოთახი მომეტებულ ნაწილად ჩიბნელებულები იყვნენ. მხოლოდ ამ ზაფხულს ერთი ოთახის ფარიჯარაში შუქი ყოველ  
ლამ ბეუტევდა. მისი კარები არც ფედარში და არც კი დარ-  
ში ამ ოთხ თვეს არ გამოხუცულია. ისე რომ, წინ რომ გა-  
გევლით, კარების პირდაპირ კარიყლ ფიცირებზე მწოლარე  
ავადმყოფს კარგად დაინახავდით. ტახტის გვერდით ბუხარს  
შეად პირი დაელო და შიგ შემდგარ ჭრავის კეამლს ნაფაზი-  
ვით უკანვე ამოლებდა.

ავადმყოფს თავი ბუხრისკენ ედო; მთლიად დასიებული,  
თუ თვალები ძლიერ არ შეუზუპდებოდა, კარგად ხედავდა  
გამვლელ-გამომვლელს. დროუდა-დრო ხახირელი კვნესა ისმო-  
და ოთახიდან. ამბობდნენ — ავადმყოფი სრული კუთისა არ  
იყოვო, თუმცა-კი ისიც უნდა ითქვას, რომ მას იმ ფარიდ  
არათერი არ ეტყობოდა. პირიქით — მის სახეზე ისეთივე დიალი  
ტანჯვეა იხატებოდა, როგორც ცველა იმ გარემოებაში მყოფ  
ადამიანზე. ზოგჯერ დამკახალ თვალებში რომ ჩაგეხდათ, ისეთ  
ღრმა და დაკავებულ სევდას აღმოიყოთხავდით, რომ გული  
ჭვალის დაგირწყებდათ. სიტყვა-პასუხი მოკლე ჰქონდა და თავაზია-  
ნი რომ გეკითხათ — როგორია ხარი, გიპასუხებდათ:



— თკვენი დამაწყევარიც იხსნას ლეგიონ, ამ ჭრის დასახლებაში არ ვარო; — ძლიერ-ძლიობისას კენებით იტკოდა და განუმდებოდა. ამაზე მეტს ვერას ათქმივინებდით: თითქოს სძულდა ყოველი. სიტუაცია, თითქოს ტკივილი არაფრისათვის იღარ აცლიდა. არ ვაცი—ეს იყო ჩიზეზი, თუ აფალმყოფის ცუდი გარემოება და ის შექმნარავი სუნი, რომელიც იმას და-სკუდა, ერთი თარი გულ-ჩივილი ადამიანი თუ შეხედავდა, თორებ დანარჩენ დროს მარტოდ-მარტო იყო. ბეკრჯელ მომ-ხდარა, რომ იმ თარ ადამიანს, მოუცლელობის გამო, ერთი-ერთმანეთის იმედით პურიც კი არ მოუწოდებით და ავადმყოფი თარი დღე, ან დღე ნახვარი უსმელ-უჭიელი, დვორის ამა-რა ყოფილა. აბა, ის ხომ არას იტკოდა, არას დროს არ დიონიკილებდა, მით უმეტეს, რომ მაცდა საიმისო არა ჰქონდა, შეტადრე იმ დროს, როცა შესივდებოდა.

ეს-კი იყო, რომ ზოგჯერ, როცა კოტა კარგიდ შეიქნებოდა, ჯოხ-დაჭრილი რის ვაი ვაფლისით აღიყავის კარგში გმინებით გამოვიდოდა და იქვე ჩაჯდებოდა. ტკუნესთან რომ გამელელ-გამომელელი ხალხი დადგებოდა და პირჯვერს დაიწერდა, სანთლების ანთების მცვირად ორიოდ ვროშს იმას მიაწერილნენ. ის-კი რომელსამე პატარა ბიჭს იმ გროშებს ვა-ატანდა დუუქენში და პურს, ან თამბაქოს დააბრენდა. ხან ხა-ჭეობე თვითონაც უიზი უთქვამს.—აი, ხეალ ეს კერძი მე-ყოფა და თქვენ ნუდარ შესწუხდებით, მაგრამ სწორედ იმ დღეს, როცა ხშის გამცემს ვერა ხედავდა, უფრო ცუდად ხდებოდა, სნეულება სჯავნიდა და სულის უმწარებდა.



— ღმერთო, ჩისთვის მტანჯაც ასე დიდხანს, რა უფრო მარტივი  
შეერთი—გარედეკი ამ დროს სიკოცხლის ხმა ახალგაზღაოთ  
სომლერაში და სიკოცესას ში ნათლიად იხატებოდა.

ესე და იმგვარად გაატარა მან ზაფხულის თვეები და,  
საკირველია, შემოდგომისაც მოესწრო. შემოდგომაში მშენიერი  
დაძი დაიპირო. მხე ისე ტკბილად ნითებდა და კა ისე  
ძლიერ გალურჯდა და გაღრმავდა, რომ იდამიანს ურთები  
ესმოდა და მისი გული შორს გაფრენას ლამობდა. მთა, ტყე  
და ველი თითქოს უტრი მოაზლოვდნენ; ქვა და ქვიშებე  
კრემლივით სუსტა წყალი მოჰქებდა.

ერთ ამ მშენიერ ხალაშის ავადმყოფი გალავან მი გამო-  
სულიყო და მხის გულზე ვერხვების პირზაპირ ნახევრად წა-  
მოწოლილს, კალი ხელი ლოდისათვის მიებჯინა, მეორეში—კი  
ჯობი დაეყვებინა და მიდამის ათვალიერებდა. სახეზე ხან შა-  
ვი ილიმურივით ააღაუა გადაჭროდა და მონაოჭებულ შებუ-  
ძემოდ თვალები მოეკრებლებოდა: ხან—კი შუბლი ისევ გაემ-  
ლებოდა და სახე უარესად უფითრდებოდა. ეჭერ არ იყო,  
რომ დრო-გამოშვებით ტკივილები ძლიერ აწუხებდა. ერთ ხნი-  
ბად ტკივილების გამო ხან გრძლივ ჩახუჭული თვალები თით-  
ქოს შელაგათით გაახილა. შელაგათის ნიშნად ლრმად ამოით-  
ხრა და კორა ხნით წვალებისგან ვანთავისუფლებულმა ითა-  
მაშებულ ვერხვების ფოთლებს შეხედა.

ყველაზე მაღალ კენწეროზე მან ერთად ერთი წითელი ფო-  
თოლი შენინა. ფოთოლი ცოტხე საცდავად ჩამოკიდულიყო  
და ისე უცნობრად ხტოდა და ცახუხებდა, თითქოს ლეუურს  
უვლისო. ივი. უკანასკნელ ძარღვზე დაკიდებული, წითლიად და-  
მჭკნარ კალთებს იქეთ-იქით ატრიალებდა და შიშისიგან თაებრუ-  
ლისხმული მაინც განუწყვეტლივ ხტოდა და ცახუხებით ლეუურს  
უვლიდა. ავადმყოფში შეხედა და უეპრივ გარინდებულს შდუ-  
ლარება გაუმოედინა. იქნებ კვლავ იმგვარი შედარება თივის  
დღეში აზრიდაც არ მოსელოდეს, მაგრამ მარტო-შარტო

შეკვეთის ის ქრისტიანული ერთი ფოთოლი პირდაპირ თვალისა საჭირო 35 წელი გადამიზნებულია.

ავადმყოფს მთელი ძალ-ღონით სურდა ყოველი ფიქრი  
თავიდან მოწოდებინა, მაგრამ შელოცვილიკო  
თვალს ყდარ ამორებდა. უცემოდა და ფოთლის ყოველ  
დატრიალებაზე შებლი ეღრუბლებოდა, კრემლები ტყვიასავით  
გულზე სცოდდა.

ფოთლის ცეკვამ შეს ის დღეები მოაგონა, როდესაც ის  
ესვევ გამწიარებული ცეკვავდა. ცეკვავდა იმ დროს, რომა  
მოთხენა და თვით სიკუცხლე თითქოს ერთ ძაფზე-ღა ეყიდა.  
მიუხედვად ამისა მაინც ვისტე კარებზე იტუზული რალა ცნონ  
ხმით შესძახებდა და, რომ ზალხის ყურადღება მიეკურო, აჩე-  
ნილი მხრებით დაიწყებდა გარშემო ტრიალს.

მრავალმხრივ დაკიდებულ ფარაჯის ძონძები ეგრევი  
უფრიალებდნენ, როგორც ის ფოთოლი და გული-კი მწუხა-  
რებით და ბეკრჯელ შემშილით სწორედ ის გვარადვე უკანას-  
კნელ ძარღვზე ეკიდა. თუ ერთხელ ვერ გირგებდნენ, გლა-  
ხა შეორედ მოპყვებოდა ცეკვას. მაგრამ ბეკრჯელ-კი გაუკით-  
ხავი დარაბებს საღმე მოპყარებია და ცეკვის დროს გამოეკ-  
ნილი ცრემლები მორიცდებით მოუწმენდია, ხან ძლიერ მოქან-  
ცული საღმე ბორს მიყრდნობია და რამდენიმე წუთით თით-  
ქოს ამ წუთი სოფელს განშორებია. ეს იყო მისი შეღავათი.

იმ წამს გულის გადაფერება სამოთხე იყო მისთვის. ასე  
მოაგრძელებდა ორიოდ გრძეშს და ლუკებს; მერე ხალხს განხე  
გაუდგებოდა და იყო მარტოვა... მარტოვავე დაეინებით სულ  
რაღიცას ფრქობდა, რაღაც ვერ მოენელებინა და ეკი ბევრ-  
ჯერ უცემ შესძახებდა — „არა, ეს არ შეიძლება, წარმოუდგე-  
ნელიათ“. შემდეგ, სადაც იჯდა, იმ ადგილიდან წამოვარდე-  
ბოდა და სხვაგან გარბოდა, თითქოს ის ადგილი ყოფილიყოს  
კველაფერში დამნაშავე.

ამ პირველი დოკუმენტი ამგვარ მის მოქმედებას ზოგიერ-



თმა თვალი შეასწრო და ოდესალიც საქებურ და პკეიინ ეჭიდა ცხრილი სილამანს სიგიურს ხმაც დაუგდეს. ან-კი სხვანირად როგორ იფიქრებდნენ, როდესაც სოლომანი უცნაურ ცხოვრების ეწეოდა.

ზამთარ-და ზაფხულ სულ დადიოდა. მთელი ქვეყანა ფეხ-ქვეშ ედო და მოუსვენრად დაძრწოდა. ზაფხულში საღმე სოფლის ბოლოში ვისმე კალოზე, ან დანგრეულ საწნახელში ეძინა; ზამთარში-კი ხან ბოსელში იყო, ხან საბატონში ჩალა-ბულას წაიკრიდა და დილამდის იქ კავეავებდა. მისი სახლი-კი შეა სოფელში ფანჯრებით გამოკოხტავებული პატარძა-ლიკით იცქრებოდა. მის უნახს მეტი მსხმოიარებით ტოტები ეცტურეოდა.

ბარემ გაწყობილი და სავსე ოჯახი ჰქონდა სოლომანს, მაგრამ ეინ იყის რამდენი წელიწალია, რაც მან თავის არე-მარეს ზურგი იღრიყა და დაწყევლილივით თავისი თავი თვითონ განდევნა. მართლაც და თავზარდამცემი და გასაო-ცარი იყო ის უბედურება, რაც რომ ერთ ზამთარს მას თავს დაატყდა და ალბად სოლომანზე ისეთნაირად იმისათვის თუ იმოქმედა

ახალგაზიდამ, ჯან-ლონით და იმედით სავსემ სახლი ყელამ-დინ მოჰყარა, ზედაც ისეთი კარგი ცოლი შეირთო, რომ სულ თავს ევლებოდა. მერე მარგალიტივით შეილებდც გაუჩნდა. სწორედ დიდი ბელნიერება იყო იმისთვის, სამუშაოდან რომ დაბრუნდებოდა... ერთი მუხლებზე შეაცოცდებოდა, მეო-რე ტაბტიდან მოუვლიდა, ქუდს მოხდიდა და მამის შუბლზე იკოცებდა; შესამე ჯიბეს უქექდა; მეოთხე დედას სამხრის გა-შლას შველოდა; ყველაზე უფროსი-კი თავის გაკეთებულ პაწია ურემს მიაგებებდა და ვითომ გაჯავრებით ეტყოდა:

— სად იყავ, კაცო! იმ ქალაქია დღეს ხარ-კამეჩი რაზედ გომიცდინე? წავიდეთ და ის გისატიალებელი მნა დროსე მო-ვიტანოთო.

ერთ სიტყვით—ერთმული და მხიარულება მის ფაზე ჩიტოება  
ან გამოლეულა და ას იყო, — ის უკულმართ ზამთარს ისე უ-  
ცრად რა გამოუტყვია? იმ დაწყევლილ წელიწადს, რომა ეს  
მოხდა, თებერვლის დამდეგ სოფელში ხმა გვიარდა — ყელ-ჭი-  
რება შევინვარებსო. სანიშ სოლომანი მის უკრს მოჰკივლა,  
ერთ საღამოს პაწია ბიჭი გაუხდა ავად: მესამე დღეს თრი კი-  
დევ ზედ მიჰყა და ერთ კვირაში-კი ხუთი შვილიდან უცემ  
ცარიელი დაჯდა. კოლიც სიჩრაისაგან უდროვოდ შობამ  
თან გაიტანა და სოლომანის კერძ სიჩრის სისწრაფით ჩაუქრა.

იმ დღეს, როდესაც სოლომანმა კოლიც სამარეს მიაბა-  
რა და სახლში დაბრუნდა, მან ოთხიდან ძველი ფარდავი,  
რომელზედაც მისი კოლი ესვენა, გარედ გამოაქანა და ისეთ  
ნაირად გაბერტყა, თოთქოს ასაც ეზიზლება და რაღასაც:  
შორიდებით იულის. შერე ტახტს ისევ გადაათვარი, ბუხართან  
ერთად-ერთი ახმაურებული ჭრიჭრია თოთქის ტარით მოკლა,  
გარედ გადმოაგდო, კარები გადმოირაზა და იქვე ჩაჯდა. ისე  
იყო გარინდებული, თოთქოს სრულიად დამშეიდებულიათ.  
შეზობლები კიდევ ჰკვირობლენ, იძახდენ — აღამიანი ძალ-  
ლია, ყველას ეჩვევაო". იჯდა ისე უნძრევლიად საღამომდის;  
მერე უცემ ერთი ტაში შემოჰკრა, თან ჩაიუნა და თავი ისე  
გაიქნია, თოთქოს სახუნჯო რამეს უაშობენო. შერე ზეზე  
ადგა, შეკეცილი ახალუხი გაისწორა, ქამირი ქვემოდ ჩაიწია  
და იღლიაში ჯობ-ამოჩინილმა საითკენლიც გასწია. ის დღე  
იყო და ის...

იმ სოფელს იმისი დატხანს არაფერი აღარა გაუკო-  
ნია-რა.

გვიდა ოცდა ხუთი წელიწადი.

ერთ ზამთრის სუსანან საღამოს ძალებმა სოლომანის  
სახლის წინ, რომელაც მის სახლი-კაცს დარჩნიოდა, ყეფა-  
ასტებეს. შევი დიდი ძალი დობეს მიუარდნოდა, თრი ტო-  
რი ზედ შეეწყო და გამალებული იყენებოდა. პატარა ძუქნა-

კი ერთოს არ მოშორებია, თითქოს ეშინიანო. შორიდან ქადაგი არ იყოს.

სოლომანის სახლში ლაშუა ენთო. ძალის ცეფაზე თეატრ-თავშლიანი დედაკაცი წამოდგა და კარებისაკენ გასწია. მასთან ერთად კედელზე ჩრდილი ისე აძყვა, თითქოს შეორე ვა ნებ დაეცევნა. სახლში კი იმის შეტი არაენ იყო. დედაკაცი კარები დააჭრიალი, გაღმოდგა დერეფანში და გადმოსძია:

— რომელი ხარ, ჩატომ ახლო ამ მოხვევა? — იმას აღბად მეზობლის ბავშვი ეკონა, რომელსაც ძალისა ძლიერ ეშინიდა და მუდამ, როცა პურის სასესხებლად მიყიდოდა, ლოპერსონ აიტუზებოდა და იქმდინ იმაბლა. დედაკაცი შეეკი-ხვაზე შმა არავინ გასცა. ძალის პატარონის დანახვაზე უფრო გააფიქრდა და ძობებს უფრო გამალებული მიაწყდა დედაკაცი მა იუცხვეა, პატარი ძალის შეუტია, ხმა ჩატენიდინ და შე-მდევ ღობესთან გამტოდგა.

— რა ცქნა, რა უნდა იყოს, ეს ძალები ნერ რომ გა-დარია, — გოფოქრა მინ და სწორედ ამ დროს რიდაც უცნაური ხმა მოესმა... დედაკაცი უფრო ცნობის მოყვარეობამ აო-ტაცა. მან მეორე ძალისაც ჯოხა მოუქნია, ღობედან შორის გაიგდო და როცა ფიჩის კუნძულ შედგა, რომ უკან გადაეხარი, უცემ გულშემზარევი ტირილი შეესმა. რულგანგოქალი დე-დაკაცი ახლა კი უფრო დაეშურა, მსხვილ მარგელს ხელი ერთ წამის ვაეცი უურად სტაცა, დღგა, ფეხით წილის ლაწალუწი აუყენა და გადახრილმა ჩახხდა: ძირს ვიღაც თეთრ თმა-წვე-რა გაბანჯგლული და აძონილი კაცი პირქვე ემხო და ტა-როდა.

— ენა ხარ, დეოსნიერო, ან რა გატირებს, შე საცო-დაო შენა?!. — ჩაეკითხა ხელ-მეორედ დედაკაცი, მაგრამ, რაი-მტირიალმა ხმა არ გასცა. ღობიდან ძირს დაეშვა. აანთო ჭრაჟი და მეზობლებისაკენ გაქანდა. მალე იქ იქ სახლებში -

ზალხი ამმარტიდა, უკვე ჩამოპნელებულ სოფელში კრისტენი გამოანათეს და ზოგიერთმა ორლობისკენ გამოაშურეს. სოლომანი ისევ ისე იდო, მხოლოდ აღარა ტიროდა. რაյო აბლად მოსულებმაც კერა თოქმევინეს-რა, ერთმა ხანში შესულმა კაცმა ხელი შეახო, თავისკენ მიატრიალა და კრაქი მიანთა.

— ჰეი, დაილოცა, ღმერთო, შენი მადლი! ეს ხომ სოლომანია? — წამიიძახა მან თოფ-ნაერავიეთ და გამშრალმა ისევ უკან დაიწია. მალე იცნო სახიდან შეშლილი სოლომანი მისმა ხალგაზდობის ამხანაგმა და ძმობილმა ვანებმ.

დედაკაკებული საშინელი შუწუნი და პირჯვრის წერა ასტყდა. იმ ღამეს, რაიო სოლომონი თავის სახლში აღარ შევიდა, მეზობლებმა როგორც იყო დაიყოლიეს და თავიანთ სახლში დააბინავეს. ის იყო და ის... თავის სახლის გვერდით არასოდეს აღარ გაუვლია.

ასე და იმგვარილ უკანასკნელ ხანს წანწალით მოუძრუებული და ივალმყოფი სოლომანი თავის სოფელს დაუბრუნდა, მაგრამ ცხოვრებით კი ისევ ცხოვრობდა, როგორც კველგან. მომეტებულ დროს მოუსვენარ სიარულში ატარედა. სოფელის ბოლოოდან სოფელის თვეში იფილდა და მეორე გზით დაბრუნდებოდა, რომ ისევ ზემოთ გატრიალებულიყო.

ბოლოს, რაიო ივალმყოფა ძლიერ მოეხია და სიარულიც აღარ შეეძლო, გალავნის კარებს იღარ მოშორებია. იქ გამვლელ-გამომვლელნი ან ცულს მისცემდნენ, ან საჭმელს მიაწედიდნენ, მაგრამ მოხუცი ბევრი წილი ყარაულებისაგან გამოდიოდა. თავის სახლი კაცებისას არას ნდომელობდა; შეუფოთებული მუდაშ ხელებს ასარსარებდა, თუ სახლი — კაცის ცოლი რასმე ჩამოუტანდა. იმაზე კი ხალხი იძახდა „საკოდავი“. შეშინებულია და მოწამელისა ეშინიოთ“.

შემდეგ რაიო ძლიერ დასიკრდა და იარებიდან წყალმა დე-

ნა .დაუწყო, იმ ეკლესიის მღვდელმა ღმის სათვეების მიზნით  
გაუდო, საკურიებით ასწიეს და იქ შეიტანეს. მას შემდევ იქ  
იყო. ზოგჯერ სიმსიფნე დაუკლებდა, თითქოს ცოტასაც მოი-  
ხედავდა და გარედ გამოვიდოდა.

აი, სწორედ, იმ საღამოსაც თითქოს თავი კარგად იყო-  
ძნო. ნორიო ოთხამი გულიც აღარ უდგებოდა... ტკივილთან  
ურთად ჩაღაც არ სკენებდა... გარედ გამოსული იმ წენარმა  
და მშენებელმა შემოდგომის საღამომ თითქოს ალერსით მი-  
იღო. მაგრამ მოხუცმა ვერც აქ ჰქონდა ხანგრძლივი მოსკენე  
ბა. იმ წითელმა ფოთოლმა მისი გულის ნადები გამოაშეარი-  
ვა და უკანასკნელ ეძმა იმისი ცხოვრება ზღაპარივით გადაჭ-  
მაღა.

უცქირა, უცქირა მოხუცმა ფოთოლს და უცებ ისე მოე-  
ლინდა, თითქოს აცახუახებული წითელი ფოთოლი აქეთ იქით  
ჟველას ტანჯეისაგან განთავისუფლებას ემუდარებოდა. უსაზ-  
ღვრო შიში და მწუხარება იხატებოდა იმის ტრიალში, მაგ-  
რამ ის უკანასკნელ ძარღვეზე ეკიდა და შეუწყნარებელი მინც  
ტრიალებდა.

უცქირა მოხუცმა და უცებ თვალები შეუშავით გაუხდა. მან ზეშე წამოიწია, თითქოს გულში ალერულმა უსაზღვრო  
შებრალებამ ამ წამს ტკივილები მთლად დავიწყა. ცალ მუ-  
ხშე წამოიწიებო მარჯვენა ხელში ჯოხი მოიმარჯვა და  
უკანასკნელი ძალა-ღონით ქსროლა... მაგრამ ჯოხი ხელიდან  
უმალ გაუვარდა... გულიდან საშინელი გმინება აღმოჩდა და  
იქვე დაეცა. გვიან-ღა იყო... ვეღარ მოასწრო საბრალოშ,  
რომ თავისავე ბედში მყოფი წითელი ფოთოლი წევალებიდან  
მალე გაენთავისუფლებინა. სამაგიეროდ განთავისუფლებას  
თვითონ მანც ეღირსა.

ცეკვით.





## საოცარი ვაჟლი.

(ବୋଲିନ୍ ପ୍ରତ୍ୟେକ).



აშლავშეც უეცრად რაღიც უცნობ  
ქვეყანაში გაჩნდა. იქ ერთ ქოხში  
დაინახა ვოლაც მოხუცებული და-  
დაკაცი. ცეკვისას ის იმი არის  
რომ შეიძლება, დედი, იძალამ იქ  
შემინახო? — უოხტა ვაშლაშიც მო-  
ხუცეს ბებერს.

— მობინდი, შეიღო, — მიკვარევა პეტერმა, — მსოლოდ  
უფასუალი კა, რომ დაიღი წერ ხაედრის განშემს კურ მო-  
გრძოთშევ — უბელურება დავვარუდა თავზე. და —  
და — როგორ თუ უბელურები — გაოცემოთ შეეყინხა ვა-  
რდაშევი? ამა — ისე, შეიღო, რომ ჩენ გვეყინას მიუკლინა კრის-  
ტინა: თავისი უცელლესიპას: აური ის უცელესი დამიწოდის  
კრისტინის უცელობას მოელი წყალი. არევის შეუძლია უიმისონდ  
დალიოს ერთი წვეთი. გამოუტადა რმი მოცელმა ხალხმა: ზო-  
გი იძინდა — ფეხები დაეკრათ; ზოგი — კუდი მოკრათ და  
გადიკარგებათ; ზოგი ურჩივდა ხალხს — თავზი დაეკრათ. ამ-  
ნაირად გამოუტადეს აჭარა გველებას. ახალ მოკრილ



კების ადგილის გველეშაპს სხვა საზოგადო თავები ამოსდისტრიციანი  
მუსორი გაავლო მთელ ქვეყნისა: — ათი ათასი ადამიანი შთანთქმა  
წყეულმა, და იძლი შის პრძნების ვერორილებით ცველანი,  
ერიცა და ხელმწიფებული ებლა ერთ სურა წყალში მეფეზე უკანას-  
კრელი თვისი პირშემ ქალი გაუგზავნა გველეშაპს, და სწორებ  
ჰუალამის დროს შთანთქავს ამ საცოდავ მსხვერპლს.

— მაშ, როგორც გეტუნბა, ბები, დასალევი წყალი არ  
გექნება, — უთხრა ვაშლაშევმა.

— იმ, რას ბძანებ შეიღო: მე წყალს ვინ მალირსებს;  
მეფესაც უნატრება წყალი.

— არა გაქვს ოთ წყლის კურპელი მაინც? — ჰეითხა ვა-  
შლაშევმა და მეტი სიმრავისგან თვალებიდან სისხლმა წვეთა  
დაუწყო.

— როგორ არა: იმ, ეს ძეელი ლიტრია; მცონი დაობდა  
კიდეც: ექვსი თვე წყალი აღიარ მდგარა წიგ.

— ეს არა არის? დიდი კურპელი არა გაქვს?

— აბა სხვა არად კურპელი მექნება. ქვეპრები გვაქვს,  
შვილო.

— ჰო და — მასენენ ის ქვეპრები.. ჩამო არამარტა ისამ  
ბებერმა უჩეენა ცარიელი ქვეპრები. ვაშლაშევმა დაავლო  
ერთ თოხსაპალნიან ქვეერას ხელი და გაემართა წყლისკენ. ბე-  
ბერი ბევრს ეხვეშა, ბევრს ემუდარა, მაგრამ ეაშროშიც უკან  
აღარ მოუხედნია მიუიდა ვაშლაშევი წყალზე და დაინახა  
ერთი მშეენიერი ქალი, რომელიც მწარებ მოსირებიდა და  
იმდუღებოდა.

— რა გატირებს, ქალო? ნუ, გეშინია: მე დაგოხსნი იმ  
სახარელი გველეშაპის ხელიდან, — იმედიანად უთხრა ვაშლა-  
შევმა.

— ეჭ, უბეჭურო, გირჩევნია საიდანაც მოხვედო, წახედე  
მალე, თორემ შენც იღრე მოგელება ბოლო. ქალმა განწი-  
რულებით აათვალისწილებული ვაშლაშევი, ძლიერ მოეწონა  
შის მოყვანილობა, მისი გაბედული, მაძალი სიხე და ტირი-

ლით უთხრა: — წილი მაღა; ცოდვა ხარ — ჩაგნოქაეს უკისწყვეტისა  
ლო. მეც ვეყყაფი ქვეყანას სატირელ-სივაგლაბოდ.

— შენ ნუ გეშინია, — მიუვო ვაშლაშევმა: მე მოველი,  
რომ დაგიხსნა ამ განსაცდელისგან და იმედიცა შიქს — გივი-  
მარჯვებ.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მოისმა საშინელი გრიალი:  
ასტყდა ქარიშხალი; შეიქმნა ელვა; ცაში გაჩნდა ცეცხლის  
ნაპერშეკლება და ქვეყანა შეინრა: შეარყია გველეშაპის  
გრევინვამ.

ქალმა იწყო ქვითინი; შეხედა გველეშაპს და ტადად  
მიხვდა, რომ მოახლოოვდა მისი ოლსასრული. სიკვდილის ფერი  
დაედო. უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ ენა დაება და  
ძლიერს და მხოლოდ მოახერხა: — წილი, ცოდვა ხარო.—  
მაგრამ ვაშლაშევი, ვით სალი კლდე, უზიშრიდ იდგა და შე-  
ჰქისურებდა მომივალ გველეშაპს, რომელიც პირიდინ ცეცხლს  
ჰყრიდა და თვალები დიდრონ საკირქესავით ეგზებოდა. გველე-  
შაპმა გადმოიხედა მალლიდან და სიხარულით დაინახა დაბლა  
ორი იდამიანი. ერთი დაიქუთა და ჩამოუშვა ბოლო, რათა  
მოუხვია თრივესთვის, მაგრამ ვაშლაშევმა იძრო ბისრი ხმილი  
და ისე შემოქრა ბოლოში რომ შუაწელამდი მოჰკვეთა.  
გველეშაპი გამწარდა და სახარლად დაიწივლა; გააღო უბა-  
რათა ჩაეყლავა თავისი მებრძოლი, მაგრამ მეორედ ისე შედ-  
გრად შემოქრა ხმალი ვაშლაშევმა, რომ მთის ტოლი თავი  
შეაზე გაუპო და მოჰკლა.

როცა მეფის ქალმა დაინახა ვეშაპი შეკდარი და ვაშლა-  
შევი უვნებელი, სისხლიანი ხმლით, მეტი სიხარულისგან არ  
იცოდა რა ექნა: ხან ტიროდა, ხან იცინდა. ფეხებზე მოქ-  
ნებია თავის მსხნელს. ვაშლაშევმა იაყენა მეფის ქალი და თევ-  
ოვე მოიხადა ბოლიში.

მეორე დღეს მთელ ქვეყანას მოეფინა ვაშლაშევის სახე-  
ლი და გველეშაპის სიკვდილის ამბავი. მოვიდა აუარებელი

ხალხი. უკელი ვაშლიშავს აქებდა და ოდიდებდა; ღიდი კუჭირავდენ  
პატარია ვაშლაშეისათვის ლოცულობდა და ღმერჩს ზექული  
დრებდა მის სიცოცხლეს. თვით მეფე-დიდებულები მიეგებნენ  
ვაშლაშავს და ლოცავდნენ. შემდეგ ხელმწიფებაც მიიწეო  
ვაშლაშავი და ოდიდებულების დასწრებით ჰკითხა: — ვეითხარი,  
როგორ დაგისახუჭროთ მთელი ჩვენი ქვეყნის დახსნისათვისო.  
რაც გინდა—მოხოვე ჟეილი: ამსრულებდელი ვარ,—უთხრა  
მეუემ.—ცოლად მოგცემ, თუ იყადრებ, ჩემ ქალს და დაგი-  
ლოცავ ჩემ ტახტსაცო. მაგრამ ვაშლაშემი უარი განაცხადა  
უკელაფერზე და უთხრა მეფეს: — არაფერი მინდა, მეუევ,  
ოქვენგან; მხოლოდ ამას გეხვეწებით; თუ შეიძლება—ამიყვა-  
ნეთ ჩემს ქვეყანაშიო.

უკელა, დიდი და პატარა, შეუდგნენ თაობებრს, თუ  
როგორ დეყვანათ ვაშლაშავი თავის ქვეყანაში. სოჭვეს: — ერ-  
თი უდიდესი ფრინველია ჩენები, რომელსაც გველეშვილი  
უჭიმდა ბარტყებს რაკი გაიგებს. რომ მოჰკლეს მისი დაუძი-  
ნებელი მტერი, მაშინვე აიყვანს ვაშლაშავს მალლა ქვეყა-  
ნაშიო.

მეუემ იმ წამსცე გაგზავნა კაცები და დაიბარი ფრინვე-  
ლი. უთხრა ფრინველს ვეშაპის სიკვდილის და ვაშლაშევისგან  
ქვეყნის დახსნის ამბავი და გამოუცხადა მისი სურეილი.

ფრინველთა ხელმწიფეს ძრიელ გაუხარდა ვეშაპის სიკვდი-  
ლი და ოლუთქვა მეუეს— ავიყვან მალლა ქვეყანაში ვაშლაშა-  
ვსო. მაშინათვე მოამზადეს ორმოცი ურემი პური, ორმოცი  
ხარი, ორმოცი საპალნე ლვინო საგძლად. უკელა ეს დაიწყო  
ფრინველმა ფრთხებზე. შეაჯდა ვაშლაშავი ზედ. გამოემშეი-  
დობა უკელას და ფრინველი მალლა წავიდა. — აბა, გამიმაგრდი  
წელზე, — უთხრა ფრინველმა: და რამდენი ფრთხ შევაქნიო,  
იმდენი ურემი პური, ხარი და საპალნე ლვინო ჩამიდე პირშიო.  
ერთი ფრთხი, შექნევა და უკლდათ მალლა ქვეყანად ასვლისათვის,  
რომ ხორცი შემოაკლდათ. — არიქა, ჩქარა ხორცი, თორებ  
დაბლა ჩავარდიო! — დაუძახა ფრინველმა ვაშლაშავს, რო-  
2

მელიშაც, რომ ვეღარა გააწყო რა, კანკები გამოიქრა დუქტელებ  
დო პირზი ფრინველს. როცა შაღლი ქვეყნად იყიდნენ, ფრინ-  
ველმა ჰეთხა: — რა გმირიელი ხორცი იყო ბოლოდროსი.

— მა, ჩემ კანკილან გამოვიკური, — მიუვთ ვაშლაშვილი და  
თავისი ბარძები უჩვენა, სისხლით მოსტრილი.

— რომ შეუდნოდა — ასეთი ტებილი ხორცი გქონდა, იქ-  
ვე შეგვაძლო, — უთხრა ფრინველმა და ვისუნა; გამოიძრო  
ბუმბული, მისუა ვაშლა შეს და უთხრა — მოსუა ჭრილობაზე  
და მოგირჩებაო. მართლაც, რა წამს მოსუა, იმ საითში ვაუმ-  
თელდა ჭრილობა. შემდეგ გამოემშეიღობნენ, ერთმანეთს და  
თავ-თავიანთ გზას ვაუდგნენ.

զամբութեացիք ոսկո—օսկո, և վոն Շըմոցյառա ցրոտ մըլո-  
հց, հոմքըլու և սմբուրոտ մոյրացիքոռա լոռիցն.

— გამარჯობა შენი! — მიესალმა ვაშლაშვი.

— ლმდერთში გავიძირჯოს! — უპასუხა მელობებ.

— საით მიეჩქარები, მობილო, — შევეითხა კვილად ვა-  
ზლა შევი.

— სით, და ჩენებისათ მნათეს ქორწილი იქვს: ცხრა  
ძმის და შოთავავს, — მიუჭო მელორებ და თან ლორები გაიღე-  
კა. ვაშლაშეეს-კი არ ეწყინა, გაუხარდა კიდევ, რომ შეუ-  
მოკლდა გზა. მაშინვე სოფლისაკენ გაემურა. გზაში ახლა  
შეცხვარე შემოყვარა და იმანაც იგივე უოხრა. ახლა შე-  
ხვდა შეძრობე და იმანაც იგივე უპასუხა. კარგა ზნის სია-  
რულის შემდევ მიატანა კულესის, სადაც შეგროვილიყვნენ  
მიყრები და ვაშლაშეეს დარჩენილ შეიღლი-ისარს ეჭილებო-  
დნენ, ზაგრამ ადგილიდანაც კერა სძრავდნენ — ჰა, რა ბიჭი  
ყოფილა ამისი პატრონი, — მშპობდნენ იქეთ-იქიდან. — იმა, მე-  
ცა ვცადო! — წადგა მაყრებში ვაშლაშეეს.

—ଦ୍ୟାକୁହର୍ଗେ ଏହେତୁବାନ! —ତାଙ୍କେଇ ହାତୁଫାକିଲୁଙ୍କେ ଶ୍ରେଷ୍ଠକୁଳକୁ ଶେଷପୁଲମା  
ମାୟକୁପ୍ରଭାବୀଙ୍କୁ ପାରୁଥିଲୁଣ୍ଟାବେ। —ବିଜୁଳ୍ୟରେ ଶ୍ରେଷ୍ଠକୁଳକୁ ପାରୁଥିଲୁଣ୍ଟାବେ  
ମାୟକୁପ୍ରଭାବୀଙ୍କୁ ପାରୁଥିଲୁଣ୍ଟାବେ।

ისარს და შევითდა კულესიაში. აქ მნათეს ღვდელი ჯერადაც გამოიწვია სწერდა.

— ხარსა თუ ფურსა? — დაიძაბა ვაშლაშვილი.

— ფურისა რა პრალია? — უპასუხა ქალმა ტარილით. ჰერა ისარი ვაშლაშვილი გულში მნათესა და დიაკვანს. რა გაიგის, რომ ვაშლაშვილი მოსული, კულესი თავზარი დაეცეა და მაყრებმა არ იცოდნენ — საით ვაქცეულიყვენენ. — ვაშლაშვილი წავლო ქალს და წამოიყვანა. გამოიანგარიშა, და გამოვიდა, რომ უკვე სამი წელიწადი შესრულებულიყო, რაც ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. მაშინვე ვაშლაშვილი გაკრია შეილდისარი და ისარი სწორედ ცხრა ძმის სასახლეში დაეკვირო. ძმებმა იკვენტს ვაშლაშვილი ისარი, მიეკვებნენ თავიანთ დას. ვაშლალამაზაც სიხარულით გადაეხვია ქალს და მერე ვაშლაშვილს.

მეორე დღეს გამოემშეიღომნენ ცხრა ძმას ვაშლაშვილი და ვაშლალამაზაც, წამოიყვანეს ქალი და წამოედონენ თავიანთ სახელმწიფოსკენ. კარგი სიარულის შემდევ დაუდამდიდრებული გადა მურალ ტყეში.

— იგერ შორს ცეცხლი მოსჩანს, — სოქეა ვაშლაშვილი. — მე წავალ, ცეცხლს მოვიტან და თქვენ აქ იყავით. ცეცხლისა ნე შეგეშინდებათ. — ვაშლალამაზა და ქალი იქ დასტოვა და თითონ გაემართა ცეცხლის შექისკენ! ახლოს რომ მიიღიდა, ნახა — სამი ბედის მწერლები ისხდნენ და ვიღაცის ბეჭს სწუვეტავდნენ. ვაშლაშვილი ბუჩქებში ჩაიმალა და ყვარი დაუგდო.

პირველმა სოქეა: — ვაშლალამაზა და ქალი რომ მიუახლოვდებიან თავიანთ სახელმწიფოს, მეცე იქნის ქსოვილით მორთულ ცხენებს მიაგებებს გზაში. რაწამს შესხდებიან ქალი და ვარი, ცხენები გადმოჰყრიან ურიკეს და დახოცავენ. ვინც გაიგონოს და გაგვცეს — ქვათ იქცეს! — ქვათ იქცეს! — დაადასტურა სამივემ.



— თუ ამას გადარჩინენ, სასიხლეში რომ მოვუწყებიდან მოვიდან  
ოქრო — ბრილიანტით შეკედილ ქოშებს შიართმევს რძალსა და  
შვილს. რაწის შეგ ფეხს ჩიდგამენ, შხამიანი გვილები განჩდე-  
ბიან, უკანენენ და დახოცავენ. ვინც გაიგონოს და გაგვცეს —  
ქვათ იქცეს! — ქვად იქცეს! — დაადასტურა სამიცემ.

— თუ ამასაც გადარჩინენ, — სოჭვა მესამემ: — ბრილის  
სასიხლეში რომ შეკუანენ ვაჟა და ქალსა, იმ ღამეს სახლი  
დაინგრეს და დაიხოცნენ. ვინც გაიგონოს და გაგვცეს — ქვად  
იქცეს! ესეც შეამოწმეს სამიცე ბედის მწერლებმა.

ვაშლაშავი გამოვიდა ბუჩქიდან და მივიღდა მათთან.

— გამარჯობათ! — მიესალმა ბედის მწერლებს.

— გავიმარჯოს. სად იყვავი, ასე უკურად რომ მოხველი?

— მგზავრები ვაზთ და, თუ შეიძლება, უატა ცეცხლი-  
მოვკეცით.

— ცეცხლი წილდე, მაგრამ ხომ არაფერი გაფიგია, რა-  
საც ვლაპარაკობდით?

— არაფერი. რა უნდა გამეგო? მე ჩქარა მოვდიოდა: —  
ამხანაგები მელოდებიან.

ცეცხლი წილო და წავიდა.

ის ღამე ტუში გაატარეს. ვაშლაშავის თვალებს ძილი  
არ ეყარებოდა: რაისი რამ ედგა თვალ-წინ. ნუ თუ არ ექნე-  
ბა ჩვენ ტანჯვეს დასასრული? — ტიქრობდა იგი. ზაგრამ მე  
უნდა დავისნა კვალად იგინი. რაც მომიცე — მომიცებეს!

მეორე დღეს გაუდგნენ სამიცენი გზას. ვაშლაშავი და-  
ლინებული მისდევდა მათ და საღამოთი კიდეც შევიღნენ თა-  
ვიანთ სახელმწიფოში. მეფეს ახარეს ვაშლალიაშას, ცხრა მის-  
დის და ვაშლაშავის მოსვლა. მეფემ რაც საუკეთესო ტენიანი  
ეგულებოდა, ოქროს ქსოვილით მორთულები, მიაგება წინ,  
მაგრამ, მიაზლოებულენ თუ არა, ჰერა ისარი ორივეს ვაშლაშავი  
და დახოცა. ვაშლალამიაშას ძალიან ეწყინა, მაგრამ არაფერ  
უთხრა. შევიდნენ სასიხლეში და მეფემ მოართეა შვილსა და  
რძალს ბრილიანტით მოკეთილი ქოშები, მაგრამ, ვიღრე შიგ



ფეხს ჩადგამდნენ, და ველი ვაშლაშავმა და გახუკებულ  
თონეში შედახა. — კიდევ ძალიან ეწყინა ვაშლალიძიას, მა-  
გრამ მაინც არა უთხრა-რა. გულშაკი, პფიქტობლა — ან გაგი-  
და, ან არა და მასხარად მიგდებს, თუ რა არისო? შემდევ  
მეფეებ მიიშვა, შვილ-რძალი ბროლის სასახლეში, მაკამ, ვი  
დრე შეი ფეხს შედგამდნენ, ვაშლაშავმა სასახლეს წიხლი წაჰ-  
კრა და დაანგრია.

ახლა-კი ვეღარ მოითმინა ვაშლალაშავმა და საყვედურით  
მიმართა ვაშლაშავს:

— არ ვიცი, ლმერთმანი, რა დაგმართვია. მასხარად  
მიგდებ, თუ რა არის. რატომ არ იტყვი, რა მიხეშია ასეთი  
შენი საქციელისა?

— კარგია, თუ ლმერთი გწამს, — უთხრა ვაშლაშავმა: —  
ნუ თუ იმდენი პატივის ცემა არა გაქვს ჩემი, რომ დამითმო  
და არ ჩაერიო ჩემ საქმეში.

— არა, უნდა მითხრა მინც მიზეზი. რაც სიკეთე მიყავ,  
ახლა სულ ვააფუჭე. სწორე გითხრა, რომ მომკედარიყავ, ის  
მერჩივნა ასე მასხარად აგდებას.

— რა საჭიროა გითხრა მიზეზი ჩემი ქცევისა? ხომ იცი,  
რომ მე შენოვის ავს არ მოეინდომებ.

— კეთილი სიიდან სჩანს? — შენ ისეთი ოინი მიყავი, რომ  
ცოტალი იღარა ვირ.

— არა, მაინც რა არის მიზეზი, — ეუბნებოდნენ აქეთ-  
იქიდან.

— ნუ მათქმევინებთ, — ენვეწებოდა ვაშლაშავი, მაგრამ  
ამაოდ.

— კარგი, ვიტყვი, — სოქვა ვაშლაშავმა: — რადგანაც ასე  
ფოფულია საქმე, რადგანაც არ დაფისდა ჩემი ამაგი, მე ჯანი  
გამოვარდეს. მაშინ რომ დაგვილამდა და ცეცხლისთვის წამოვე-  
ლი, სამ ბერის მწერალს მოვადექი, რომელიც სწყვეტავდნენ  
თქვენ ბერს. პირველმა სოქვა: სასახლეს რომ მოუახლოედებიან,



მეცე ცხვნებს გამოაგებებს და, ზედ რომ შესხდებიან, ცრესტინ  
შეფრთხებიან, კალვინი ვალმოცველებიან და დიონისიონი.  
ვინც ვაიგონოს და ვაგვაქმის — მად იქცესო.

დაათვე თუ არა ვაშლაშემა ეს სიკუცები, მუხლებიამდის გაქებვდა. ესვეწებოდნენ ყველანი იღარ ეთქვა; ამას მიხედნენ — რაში იყო საქმე, მაგრამ რალა დროს იყო.

— იხლა ჩემი სიცოცხლე რაღაა? — განავრბო ვაშლაშვილი: — თუ ამას გადარჩენო, სოქე შეორე ბეჭის მწერალმა, — მეფე რომ ბრილიანტით შეკედილ ქაშებს მიართმევს, შხამიანი გველნი გაჩნდნენ შეი და დაიხოცნონ. ვინც გაიგონოს და გაგვცეს — ქვად იქცესო. და ვაშლაშვილ წელამდის გაქვევდა. — ვაშლა ალაძანა და ყველანი ტირილით იცემდნენ თავ-პირში ხელებს და ქვეწებოდნენ არაფერი ექვეა მეტი, მაგრამ ვაშლაშვილ განავრბო: — თუ ამასც გადარჩენ, მეფე რომ ბრილის სასახლეში მიიწვევს, იმ ღამეს დაიქცეს და დაიხოცნენ. ვინც გაიგონოს და გაგვცეს — ქვად იქცესო!

და ვაშლაშვილი სრულიად გაქცევდა. წაიშინეს თავსა და  
პირში, მაგრამ რაღა დროს იყო. შემდეგ ქვე სასახლის ბაღში  
დაასკვერეს და ყოველ საღამოს ვაშლაშვილი და მისი მეუღლე  
უნოებდნენ სანთლებს და მწირედ დასტიროდნენ თავიანთ  
შესწერა-მოამზეს ბერს.

ვაიარა რამდენიმე წელიწადმა და ვაშლალაშახას გაუჩნდა შეიღები. მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდა იმათხე უშუალესი ბატუმის. ურა ღამეს გამოეცხა უა ვაშლალაშახას თეთრ-წვერა კაცი და ქოხია:

-- შენი მსხველი, შენი მოამზე, რომელმაც გამოიარა  
ტანჯვა შენის გულისთვის, რამდენიმე წელიწადია გაქვავებუ-  
ლია. თუ გინდა მისი შევლა და ხსნა, დღეს, კული დასკურ  
შენ შვილებს და მათი სისხლი დასხი ჭვას, და ვაშლაშვილ  
ისევ გაცუცხლდება.

გამოელვიდა ვაშლიალაშვილს და გორგაბუძული იყო. გააღინი-

და თავისი უოლი და უაჩბო ნახული სიზმირი. შემდეგ გადახედა თავის ორ შვილს, რომელნიც საყვარლიად ჩიტუტულიყვნენ და ნათელი მოქმედნოდათ.

— ჩვენი გულისოფენისაა გაქვავებული, — უთხრა უოლმა: — თუ უფლის განგება არის, კიდევ მევავეცმა შვილები, და გვპართებს უშველოთ ვაშლაშეას. წამოდგა ქალი, გაძრის ალმასის დანა და უთხრა ვაშლისლაშეას მრეტანა თასი. გაუს ლანა, გამოსტრა ყულები ორივეს; აავსეს თასი სისხლით, გაიტანეს ჩუმად, დაასხეს ქვის და იმ წამსუე წამოდგა ვაშლაშვი დასუსტებული.

— ეს რა ამბავია? — იკითხა ვაშლაშვი. როცა უაჩბეს ყოველივე, ძალიან შეწუხდა და არ იკოდა რა ექნა. — ისევ მეტჩივნა ქვით ქცეული ვყოფილიყვავ, და ჩემი გულისათვის ეს ბავშვები არ დაგეხმატო.

ზედ ჩამ კოლ-ქმარი სიხარულით ქვეროდნენ თავიანთ მხსნელს. როცა სასიხლეში შევიდნენ, — ჰოი, საკირველებია! — პარარა ბავშვები ლოგინში თამაშობდნენ და ტიკტიკებდნენ. შეეჭმიათ სიხარული. მთელი ქვეუნიერობა ხარობდა და ლოცავდა მეტისქვილის შეიღს ვაშლაშეას. შეუემ ნიხევარი სახელმწიფო უბოძა ვაშლაშეას და ნიხევარი თავის შვილს, და საკ სიხარულით ცხოვრობდნენ ისინი ქვეყანაზე.

ქ. დარაშვილი.





з о б о м б а.

(ପ୍ରକଳ୍ପିତ) :




 რუნოსა და კურტს მოთმინება იღარ ჰყო-  
 ფნიდათ: ერთი სული ჰქონდათ სანამ გა-  
 იგებდნენ, რა მიუძლენა ვეგუსტმა შევთ-  
 ბარს; რომ მამა სახლში არ ყოფილიყო,  
 ქორივი მივარდებოდნენ მინიონსა და  
 საჩუქრს ხელიდან გამოგლეჯდნენ. მინიონსა მოკრძალებით  
 ეჭირა ხელში შეხვეული და გახსნა ვერ გადაწყვიტა. ისევ  
 ავეცატმა გამოიყვანა ის უხერხულ მდგომარეობიდან. მან თა-  
 მამად გაშალა ქალალდი რომელშიც აღმოჩნდა აბრეშუმის  
 წითელი ლენტი. ვეგუსტმა აიღო ლენტი და კოხტათ გაუ-  
 კეთა თავზე მინიონს.

— Հա մեղյը լրեցնա! — Այլպարու օլդրուտոյան բժուղմա ազգականին:

ბრუნისა და კურტეს წასკდოთ სიცილი. დისსხლისშე-ენ,  
დაინახა თუ არა, სწერდა ბივზეს და თავიდან ლენტი ჩამო-  
გლიჯა.

— ეს კიდევ რაღა შესხარობაა, — ბუზლუნით ჩიტლაპარა-  
კამან და ლენტი შორს გადაისწოლა.

— ହାନ୍ତିକାରୀ ଦେଇବ, ମେ ତାଙ୍କୁରାଜ, ଏହିଟାଙ୍କା ହାନ୍ତିକାରୀ  
ଫୁଲିଲିବ ବାରଜୁବାସ? — ଶ୍ରୀଶ୍ରୀରାମ ଆପଣି ଏକାକ୍ରମିତିରେ

— გრუცვენოდეთ, რისთვის დასკინით ბაეშვეს? — ჩიტონი  
საქმეში მებულყე: — ეს საჩუქარი ამტკიცებს, რომ დედობარი  
კეთილი გულისაა. აიდე მინონა ეს ლენტი, — ალექსით უთ-  
ხრა მან ობოლს — ის შენ გევუთენის, და მოიხმარე ისე, რო-  
გორც მოგესურვება

მინიონაშ თიღო ლენტი და შეინახა. მხოლოდ მაშინ მოისცენია მინიონაშ. ოთვა ქრისტინები ის თავის თახაში წილებიანი. ქრისტინები გააღო თახასის კარი, მაგრამ ბავშვის უთხრია, არ შესულიყო. სანამ არ დაუძახებდა, რამდენიმე წამის შემდეგ მოისცა ქრისტინეს ჩბა:

— օ՞ս, մոնո, մըմոլո! առավելաց ո՞վ ուստի սկսում են

— აჟ! — დაიყვირა ბავშვმა და პლტაცებულმა ტაში შემოჰკრა: — ლერჩით ჩემთ, ეს ხომ შობის ხეა!

თოვლისებით თეთრ სუფრა — გადაფარებულ მაგიდაზე იღ-  
ვა პატარა ხე, რომელის ტოტებს მრავლად ამშვენებდა წყალ-  
ლი გაშლი და კეთლი. სხვა-და-სხვა ფერის სანთელი უამა-  
ზად ინათებდა კოხტად მორთულ შობის ხეს. აქ სულ კარგი  
და მიშიალველი ნივთები ეწყო: კაბა მინიონისათვის, წყველი  
ხელთათმანები, სურათებიანი წიგნი და დელფინი. აქვე  
იდო შაქრის კვერცხი, რომელსედაც ლამაზი ასოებით ეწყ-  
რა: „მინიონა“.

ბავშვი მოეწვია კელზე ქრისტინე;

Ի՞նչու յարցու վրուստոնց, Ցեղ ուստուզը կցուլու եան,  
ժողովունուց ուշու և պարագալու Յօհան.

ბავშვის ისეთში ალექსმა კიდევ უფრო გააგულეთილა  
ქრისტინე. მან ჩაირა გულში ობოლი და დაუწყო კოცნა.  
ისეთი ბედნიერი წუთი შეუძლია ვანიცალის მხოლოდ იმ  
ადამიანმა, რომელიც კეთილ საქმეს ჩინდება. მინიონა ხელი-  
დან არ იშორებდა თავის დედოფალს, შოკლიდის სმის  
დროსაც-კი მუხლებზე ეღო და უაღერსებდა. როცა ძილი  
მოეჩაა, დედოფალიც ლოგინში ჩაიწერინა. ქრისტინემ მიიღო-



გა ოთახი და მოსიყვარულე სახით დააცქერდა მშინებელების  
ბავშეს. რა უდარდელად ეძრი დღეს მინიონას! რა გაბრწყი-  
ნვებული წყო სახე ბავშვისა გვარდისუერებული ლოკები  
და მოლიმარე ტუჩები მეტის-მეტ მიშრდელად ხდილნენ მძი-  
ნარე მინიონას.

— საბრალო, — გაიფიქრა ქრისტინემ: — ვინ იცის, თუ  
რა სახელს მოიგონებენ ხვალ შენთვის? მაგრამ იცოდე არა-  
სოდეს არ დაგვდებ. თუ მაინცა და მაინც არ დაიშლიან ტ  
კიდევ უფრო შეგაწუხებენ, იმდენი ძალა-კი შემწევს, რომ  
დაგრძნა ამ ჯოჯოხეთილან.

ქრისტინეს თავში ათასნაირი ფიქრი ირეოდა. მიატო-  
ვოს ეს ადგილი და მინიონისთან ერთად გაზავიდეს სხვაგან  
მოსამსახურებდ? გაძვეს ცოლად მეპურეს, რომელსაც დიდი  
ხანია თვალი უჭირავს მასზე? მირთალია ჯერ-ჯერობით არ  
უნდა გათხოვება, მაგრამ თუ საქმრო დაეთანხმება, რომ მი-  
ნიონაც თან წაიყვანოს, მაშინ არ იქნება წინააღმდევი. ასე  
ფიქრობდა ქრისტინე, მაგრამ რომელ იზრს დასდგომოდა, ვერ  
გადაეწყვიტა...

### VIII

#### სერიკის პონა.

მოელო ბოლო სუსტიანსა და მოწყენელ ზამთარს. მისი  
ადგილი ღოვერა ყველასთვის მიმზიდელმა და ლამაზმა გაზა-  
ფულმა. ათასფრად იყვავილა ბუნება. ბავშვების იგრძნეს  
ბუნების შეცვლა და მხიარულნი მოეცენენ მინდობა-ელს.  
აღარც მინიონას უხდებოდა დილა-ბნელს დეგომა. ამლა ეჭვა  
საათზე მშე უკვე ამოსული იყო. ბულკების ტარებაც აღარ  
უძნელდებოდა ისე ძალიან. დილის მზის სხივები და ჩიტების  
ჭიკჭიკი სანეტიან. წარსულს ავონებდა. დაწყლოულებული

ଫ୍ରେନ୍ଡିଲ୍ ମୁଣ୍ଡଶ୍ରୀଶ୍ରୀ, କାଳାଙ୍କ ପାର୍ଶ୍ଵର ମିନିମନ୍ଦ ଓ ଦାତାନିଷ୍ଠିତକା  
ମହାଲାଲାଲ ଏଣ୍ଜ୍ଯିଲ ଚାଂପାନା କ୍ରିସ୍ତିନ୍ଦ୍ର ବାସାନ୍ତର ଅନ୍ଧେ ଏବଂ ଉଦ୍‌  
ବାଦିଲ ବାତାନ୍ତର ଅନ୍ଧେନା.

— ქრისტინე, შეუძლია ზერტალს კაში თორინდეს? —  
იყოთხმა მინიონამ.

— არა, მინი, ისე შეღლეთ კერ ცურაინდება მერცხალი.

— თუ-კი ლრუბლებსა სწერებიან? აი, უცურე, ერთი  
შიიბალა კიდევ. ალბად ცაში აფრინდა. ნეტავი შერცხალი  
ვიყო. გვიშლიდი ფრთხებს და გავწერდი ცისქენ მამასთან; დე-  
დაც ხომ იქ იქნება? ალარც ვინმე მცემდი და ბულეკებას ტა-  
რებასაც გადავრჩებოდი.

— Կայլացրեմ այս գածահրանութիւնը, ի՞մ Յօնոննե! Ի՞շտ ցագարեցն մաց ծովացքն առաջնակապ. Մենքը զարդարեմ, ուստի առաջ բացուած սամաց. Կայլա Մենո թըցըն և ուշացըն ցառությունն առաջնեմ. Յաջրած չէ՞ր-յո զարդացըն զարդացըն: Վու ու Բամոցը համապատասխան:

თუმცა მინიონს არ ესმოდა, თუ რას ფიქტობდა მისი  
კეთილის-მყოფელი ქრისტინე, მავრამ, მინც არა ჰითხა-რა.  
რომ ჩასციებოდა, ქრისტინე გაუმცელდა, რომ შეპურე, რო-  
მელმაც მასზე ჯვარი უნდა დაიწეროს, თანამთა მინიონაც  
თავისთან გადაიყვანოს. ქორწილის დღეც უკვე დანიშნული  
იყო.

ერთხელ ბეჭედსტომა შემოიჩინა სამზარეულოში და აღ-



ტაცებით უთხრა მინიონას: ჩემ ამხანიგს მშევნიერია შპლი და კუკა  
უკეთებია; ისე მომეწონა; ისე, რომ უსათუოდ უნდა გავაკე-  
თო ისეთი ზაღი. ეკიფებით მოზრდილი ყუთი, ავისოთ მი-  
წით და ჩივრვოთ შეგ სხვა-და-სხვა ყვავილები. ერთი გაშლის  
ხელ დივრვოთ; გაშლი ძლიერ მიყვარს.

მებულებს ცოლი ბაზარში წასულიყო და ბავშვებს თა-  
ფისულიად შეეძლოთ თამაშობა. ისინი აცოცდნენ ჰერში და  
დაუწყეს ძებნი ყუთს; მაგრამ შესაფერს კერ შოულობრნენ.  
ზოგი ძალიან დიდი იყო, ზოგც პატარი. ის იყო უნდა ჩი-  
მოსულიყვნენ ძირს, რომ მზის სხივი მოხვდა ერთ ბნელ კუ-  
თხეს და შორს დამაღული უკით გამოიჩინა.

— იო, კარგი ყუთი, სწორედ ისეთია, როვორიც გვპი-  
რაი—დაიყვირა ავგუსტმა.

აღტაცებული ბავშვები გაექანენ კუთხისაკენ:

— ყუთის თავი არა ჩვენთვის საკირო; აქ დავაგდოთ.

ანიდეს სახურავი თუ არა, მინიონამ გიყივით დაიყვირა:  
— ავგუსტ! ჩემი სკრიპტა, ჩემი სკრიპტა — დასტაცა ხელი  
თვის სათაყვანო სკრიპტას და მოჰყვა ხტუნვის. ის იქიდედა  
გულში სკრიპტას, ჰერცინიდა, იცინოდა; აღირ იციდა რა  
ექნა. ავგუსტი განციფრებით შესცეროდა შევობარს, რო-  
მელიც არასოდეს არ ენახა ასე მხიარული და ბეჭნიერი.

— დაუკარი ჩამე,—სთხოვა ავგუსტმა მინიონას, — მხო-  
ლოდ ჩქარა, სანამ დედა არ დაბრუნებული ბაზრიდან: მან  
არ უნდა გაიგოს, რომ სკრიპტა ვიპოვეთ.

დიასხელისის მოდონებამ მინიონას წელი მოსწყვიტა.

— მხოლოდ აქ არა, — სთქვა ჩან და სკრიპტას კალთა გა-  
დააფარი.

— წავიდეთ ქრისტინეს ოთახში — დედა შენი იქ არა-  
სოდეს არ შემოდის; — იქ დაუკრავ!

ავგუსტი და მინიონა ფეხაერეფით, თითქმ რამე შეთ-  
ქმულობა მოჰყვით სისრულეშით, ჩამოვიდნენ კიბეზე, შევი-  
დნენ თახში და ჩაიკეტეს კარები.

— ახლა ნულარ გეშინია: ვერავინ შემოვა, — სთტექტ მწრული გუსტმა.

მინიონამ მოიმირჯვა სკრიპტი და დაუწყო დაკვრა. და-  
დიხნის მოწყურებული, ისე გატაცებით უკრაფდა, ისე, რომ,  
რაც უნდა გეკითხნათ, პასუხს ვერ მიიღებდით. ევგუსტი  
სულ-განაბული უფლებდა ყურს. უნდა გენიხაო პატარა მემუ-  
სიკე ამ დროს იმის ლრმა თვალებში გამოხატულიყო ლმო-  
ბიქრება და ზეციური აღმაფრენა. ბავშვს დაეიწყებოდა ამ  
ქვეყნიური ტანჯვა და დამტირებული ცხოვრება და მოელის  
არსებით ზეცაში გადასახლებულიყო. მაგრამ მინიონას დაღ-  
ხანს არ დასკალდა ისეთი კოფნა; ტკბილი ოცნება მწარე,  
სინამდვილედ შეცვალა: ვიღაცამ კარები ლონივრად და  
აბრახუნა.

— ახლავე გაალეთ, თორემ ჩავამტვრევ კარებს! — მოისმა-  
ხმა გარედან.

— დედა! — დაიძიხა შეშინებულმა ავგუსტმა და კარს  
ურდული გამოიძრო.

ოთახში შემოვიდნენ ბრუნი და დედა მისი. მინიონა  
გაქვევებულიერი იდგა. სკრიპტი ხელში შეაცივდა. ალქიზი-  
ვით მივარდა ბავშვს გააფრიხებული დედაკაცი.

— შე არაშიადავ! სად იპოვე სკრიპტი? ვინ მოგცა პეტ-  
ში ასელის ნება? — კაპისობდა დედაკაცი.

მან გამოსტაცა მინიონას სკრიპტი და დაუწყო მით თავ-  
ში ცემა. ივგუსტი გამოესარჩილი მეგობარს.

— ამის ბრალი არაა, დედა! მე წავიუვანე ეს ყუთის სა-  
ძებნელად. ნუ სცემ, დედი, გთხოვ...

— დამეჯარე იქნედა! — დაუცვების დედამ ივგუსტს და  
კიდევ მეტი გატაცებით მოუქნია სკრიპტი მინიონას, რო-  
მელსაც ვეღარ დაარტყა, და ძარს-კი დაუვარდა. ივგუსტი  
მივარდა და უნდოდა აეღო, შავრავ დედამ ჭირა მას ხელი და  
ფეხებით დაუწყო მტკრევა სკრიპტის.



— თუ მინიონა აქამდე ხმა-ამოულებლად იდგა და ჯაჭვას  
არ ეწინააღმდეგებოდა, ახლა, როცა დაინახა, რომ სკრიპტის  
ამტრიქევენ, როგორც კრუხი ქარს, ეცა დედაქაცს და შე-  
ეცალა ვალიერჩინა თვისი ერთად-ერთი იმედი.

— წადი, არ დაამტრიო ჩემი სკრიპტი! — უვიროდა უმ-  
წეო ბაეშვი და თვის სულთამხუთავს კაბის ვალთით უკან  
ეწეოდა.

— ჰესუსზე შესცდი, უე თავხედო? მომშორდი ჩემირა.  
ბოროტო, გამაცალე ეგ თავხედი ეგა!

— ბრუნომ დაუკირა ხელები მინიონას, მძლავრად მოიქნია  
საბრალო ბაეშვი და სკრიპტის ნამტრიქევებში ჩახეხა. მინიო-  
ნაშ შესახარი ჩით დაიკიკო და ცრემლები წასკდა.

— წევთრიი სამხარეულოში, კართოფილი სწმინდე! —  
უბრძანა ქალბატონშა ობოლს.

— ხომ ხედავ, დედა, რომ მე მართალი ვყოფილვარ, —  
უთხრა ბრუნომ დედას, როცა ისინი კაბეჭე ჩამოლილიენ:  
— შენ გეგონა, რომ მუსიკის ხმა მეზობლისა ისმოდა, მე კი  
კარგად ვიცოდი, რომ ეს მინიონას სკრიპტის ხმა მოლიოდა  
ქრისტინეს რთახიდან.

— ივგუსტი, ახლავე ჩამოდი მის! — ამოსძახა კიბიდან  
დედამ ივგუსტს.

ივგუსტი-კი იდგა და ანუგაშებდა შეუხარე მინიონას.

— სხვა სკრიპტის გიყიდი, მინიკო! მე კიდევა მაქვს სა-  
კუთარი ფული. ნუ სტირი, ნუ. შენი ცრემლები ძლიერ  
მაწუხების, — თანაგრძელობით უთხრა მან მინიონას და თევთო-  
ნაც ცრემლები წასკდა.

ივგუსტს ციდევ მოესმა დედის მრისხანე ხმა. ის დაიხა-  
რა, მოწიწებით იქრცა მეგობარს თავხე და დაბალი ხმით  
უიხრა: — ძეირფისო მინიონი! — კიდევ მოვალ შენთან: ნუ გმ-  
შინია, ნუ სტირი..

## IX

## მინიონის გაქცევა.

ნახვები საათის შემდეგ მინიონი იდგა და ძირს ჩავიდა. ის განვითარდა ტირილს. ცემისა და ტირილისაგან სახე დაუსივდა. ბავშვი რეტ-დასხმულივით ჩამოვიდა კიბეზე, გაიარა ეზო და შევიდა სამზარეულოში, — იმისთვის-კი არა, რომ კართოფილი ეწმინდა, არა, ეს არც-კი მოპვენებია: — უნდოდა ქრისტინე ენაზა და ოვისი დარღვები გაეზიარებინა. ქრისტინე სამზარეულოში არ იყო. ჭურასთან იდგა შებულების ცოლი და რაღაცას ფუსტელებდა.

მინიონი სწრაფად შემოტრიალდა და ზურგი აქცია ადამიანს, რომელიც ისე ჯარათურად მოექცა მას.

ბავშვი სულ ერთიანიდ ცახციხებდა: ეშინოდა, რომ კიდევ არ ეცემათ მისთვის, და მოუჩქირა სიარულს. გაირბინა ეზო, გავიდა ალაყიფის კარებში და გაჰყვა ქუჩას. მიდიოდა შეუჩერებლად, მაგრამ სიითქვენ — თვითონაც არ იცოდა. უგინევე აქედან, — ჩაიძიხოდა მას რაღაც იდუმალი ხმა და იყიც გარბოდა, გარბოდა უკან-მოუხედავად; გაიჩინა რამდენიმე უცნობი ქუჩა და ბოლოს გავიდა ქალაქს გარედ. აქ მინიონის თავი მოჰყურებდა გზა-ტკეცილზე, რომლის გასწერივ ლაშიზაღვაზე ჩამწერივებულიყვნენ ცაცხეის ხეები. გზის ორივე მხარეზე მოსხანდა კოხტი სახლები; ეზოებში უდარ-დელად დაბტოდნენ მხიარული ბავშვები. მინიონი არავის აქცევდა ყურადღებას; ეშინოდა, რომ არ დასწერდნენ. არც მას აქცევდა ვინმე ყურადღებას. ქალაქელი ყველა თავის თავზე ფიქრობს და დარღობს: არა რჩებათ დრო, რომ სხვებ-ზედაც იზრუნონ. უცბად მინიონის ბრუნოს ხმა შემოესმა, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარეცა. მაგრამ ჩერა დარწმუნდა, რომ ეს ბრუნო-კი არ იყო, არამედ ვილაც სხვა

ბიქი, რომელიც ამ გზითვე სადღიც მიღიოდა. რაფი დაუშენებულ  
რომ საურთხე აღია მოყლის, ჩინიონა შედგა და დასვენა.

გარშემო სიჩუმე იყო. დასავლეთისკენ გადახრილი შეცხლის ბურთივით ჩამოიდებულიყო სივრცეში და ნელნელა ეშვებოდა ტყის გადაღმა. მინიონს ჯერ არ ენახაშის ჩასვლა, როცა მზე ტყები მოეფარა, დასავლეთის კა წილიად შეიღება. გაევირვებული მინიონა დააცემდა აფერადებულ ღრუბლებს, ეგონა „უამ პირი გააღო“, ახლო-კიშემიძლია ავიდე ცაშე, რომელიც ტყის ბოლოსთან უერთდება მიწას. ის მოგალ იმ აღგილამდე, ვიპოვი ცაშე ისასვლელ კარებს და გავწევ საყვარელ დელ-შემისკენო, „—ფიქრობდა მანიონა.

ამ აზრით გამოხევებულმა მინიონამ განაგრძო ეზა. მი-  
დიოდა შერტონდ-შერტო, არსაიდან შედევსი არა ჩნდა. სახლე-  
ბიც მიიღალნენ თვალთვავინ. ტყის პირს რომ მიაღწია, დაინა-  
ხა ტყის მცველის ქოხი. კარზე ვილაც დედაბერი იჯდა და  
კაბუკობდა.

— Տաճ Ցուցութար, Վարդարա վալո՞? — Հյուտես Յան Ցուցութան, հույս կը Շահնշախ յըլո յմեև զայսիշուրած.

შემონებულმა ბავშვმა შეხედა მოხუცს, მაგრამ კი ორი  
უპისტყა რა.

— აჟა, პურის ნატეხი, — შესთავაზია ლელაბერძე.

მინიონს ძლიერ შეიდა. გაუბედავად შეუახლოვდა და-  
დაბერს და მიიღო მოწყვალება.

— როგორ უნდა ისრო მარტო ამ ტყეში? ღამდება,  
გზას დაჭვარვავ! საღ ცხოვრობენ შენი მშობლები? სხელიად  
რა გქვიან? — დაეკითხა მოხუცი.

ମିନିମନ୍‌ବି ଏହିପା ଦ୍ୱାରା କିମ୍ବାରୁଥାରେ ଏହା ଲୁହାରୁଥା.

— უნდა წავიდე, — ყრუდ ჩაილაპარაკა მან და განაგრძო.

დედაბერმა გაიწინია თავი და უკმაყოფლელ სიქე:

— ნერი როგორ უშედებენ მშობლები ახეთ პატარას ან დროს? როგორ არა სცხვენიათ?!

მაგრამ მინიონას არატრის ეშინოდა. მას უნდოდა ცაზე ასულიყო. ოქენე გეცინებათ, არა? ნუ დაივიწყებო, რომ ბავშვი სჩულებით გაუცებარი იყო. ან-ეი ზრუნავდა ვინმე მის აღზრდა-განვითარებაზე?

პატარა შეზიარი შევიდა ტყეში და შეწერდა. ვერ გადაეწყეორა, რომელ გზას გაძიოლოდა. დასდგომოდა ბილიკა, თუ წასულიყო ისევ მთვარი გზით? მაგრამ ბილიკა ბნელოდა, და ამიტომ არჩია შეზიარობა გზატყეცილით, რომელიც საკმაოდ იყო განათებული მთვარის შერთალი სხივებით. ამ სიიდუმლოებით მოცულმა სინათლემ მინიონას თავბრუ დაასხა.

ცა აღარსაიდანა სჩანდა. ბავშვის წინ გადაიჭიმა თვალ-მიუწდომელი გზა. ექვთ-იქით კი დაბურული ტყე. ცაზე ასასელელი კარგბი აღიძია აღიძიად იყო. საითაც უნდა გაგეხედნათ, ხისა და გზის შეტს ვერაფერს დაინახავდით; დრო-გამოშვებით დაინახავდით რომელიმე ფრინველის შრიალს, ან ქვეწარმავალის მიწაზე გასრიალებას, რაც კიდევ უფრო აშინებდა მინიონას.

ყველაფერი სულიერ არსებად ეწვენ ემოდა მას. აი ის დაცულება მოტკლეულ ხეს. სწორედ ამ დროს კოტმა და-ჰკოელი თავზე. თვეზარ-დაცუმულია დახუჭა თვალები, ხის ძირს ფეხი წამოჰკრია და წიაქცა. საბრალო ბავშვი ისე დაქანულიყო, რომ ვეღარ ადგა.

მას დაავიწყდა ცაზე ასელაც და საყვარელი მშობლებიც. იმისი ფიქრები ისევ ქრისტინეს დაუბრუნდნენ. უცბად მოაგონდა სუფთა და თბილი ოთახი და უკან დაბრუნებაც კი გაიციქრა.

ბავშვია ლრმად მოიიხსრა. უზომოდ დაღლილმა თვალები დახუჭა და ჩაიძინა. სიზმარშიაც-კი ქრისტინეს ოთახი

ელანდებოდა. ზედ გზის პირად ციკ მიწაზე ღრმად უშენდებოდა უპატრიონო ობილს. უპატ შეველის ნუკრმა გაირჩინა მინა-რე ბავშვის ახლო, მაგრამ მინიონას არა გაუგიარა. ტყბილიდ და მაგრად ეძინა. მთვარის მკრთალი სხივები ალექსით დასთამაშებდნენ მის გამზღარ სახეს. ღამის გუშაგი მთვარე დასკერდი უპატრიონიდ დაგდებულ მინიონას, თითქმ კუ-ბნებაო: „იძინე მშეიღიად, ძეარესო ბავშვო!—ნუ გეშინია, მე გდარაჯობ, მე იგაცდენ ყოველივე უბედურებას“—ო...

$$g = \sqrt{3} - d_0$$

(“**ଭାବିତାରେ କିମ୍ବା**”).





## პვირფასი ნაზირი.

(დასახ. ბული).

ამავ, ოთხი დღეა არაუერი შიკაშია:  
მომეტი ერთი ბლითი, — სოხოვა შემზ  
მა ნელის ხით.

— არ გიკაშია? რატომ არ ჭამე  
ამისთანა კარგი, გემრიელი ბლითე-  
ბი? — გაუკერდა შამას.

— შენთვის იყო. დედამ მითხრა: „თვითონ არ ჭამო —  
მამს მიუტანეთ;“ და როგორ ვსქმდო. მომეტი ბლითი: შში-  
ან, ძალიან მშიან.



მხოლოდ ახლა, როდესაც ბლითები უკუნებლად მამას ჩააბარი, მხოლოდ ახლა შეხედა ბავშვმა ბლითებს, როგორც საკმელს, და კიძე მოუწდა.

— კამე! სულ შენ კამე! — ყვიროდა გახარებული ბარალ-  
ტა: — ძალიან კარგად მოიქეცი, რომ სხვისი არ იღებს ასე უნდა-  
მოიქცე ყოველთვის. ყოჩალ, ზედ! ახლა, თუ ვინდა. სუსა-  
ლა შევამე, თამატოც მოსწრე. დღეს ბედი მეწია, კარგი. შე-  
დი. აბა ნახე, ბიჭიკო, რა არის მანდ.

იქევ ახლოს ხის ძირის შემთა დაინახა უშველებელი  
მკვდარი დათვი, ის, რომელიც ამ რამდენიმე საათის წინ გარს  
უელიდა და ჰქონისავდა ჩის მძინარეს და შენატროდა იმის  
ბლითებს. ძალლი ისევ წემუტუნებდა, ჯერ ვერ დამშვიდებუ-  
